№ 1/1/66

09.11 2021

ბრძანება

შპს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ

შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს შპს „ევროპული სკოლის“ მოსწავლეთა ეთიკის კოდექსის ახალი რედაქცია, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
2. წინამდებარე ბრძანებისა და მის საფუძველზე დამტკიცებული მოსწავლეთა ეთიკის კოდექსის ახალი რედაქციის შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სკოლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მოსწავლეთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის N1-46/1 ბრძანება.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სოფიო ბაზაძე
დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა“

European School LTD
შპს ევროპული სკოლა

მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი

გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური
მომზადებულია: იურიდიული სამსახურის მიერ
დოკუმენტის შემუშავების თარიღი: სექტემბერი, 2018
დოკუმენტის გადახედვის ბოლო თარიღი: ნოემბერი, 2021
ბოლო გადახედვა: იურიდიული სამსახურის მიერ

სოფიო ბაზაძე
დირექტორი

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

2, I. Skhirtladze st.
0177 Tbilisi, Georgia
Tel: (032) 239 59 64
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

შესავალი

შპს „ევროპული სკოლა“ (შემდგომში - „ევროპული სკოლა“ ან „სკოლა“) უზრუნველყოფს გამორჩეულ განათლებას, სააღმზრდელო და აკადემიური კუთხით რთულ გარემოში. მოსწავლეებს აძლევს სტიმულს მიაღწიონ საუკეთესო პირად შედეგებს და გახდნენ გავლენიანი და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები.

მოსწავლეთა ეთიკის კოდექსის მიზანია ევროპულ სკოლაში განსაკუთრებული სასწავლო გარემოს შენარჩუნებისთვის საჭირო პრინციპების და სტანდარტების დამკვიდრება. ევროპულ სკოლაში სწავლება ემყარება ინდივიდუალური უფლებების, გამოხატვის თავისუფლების, ღირსების და უსაფრთხოების პატივისცემის პრინციპს. მოსწავლეთა ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ევროპულ სკოლაში მოსწავლეების ქცევის სახელმძღვანელო მითითებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეების და ევროპული სკოლის თანამშრომლების უფლებების, ევროპული სკოლის საკუთრების და საერთო რესურსების დაცვა და ამავდროულად გამორჩეული სასწავლო გარემოს შექმნა და შენარჩუნება.

მუხლი 1. ეთიკის კოდექსის ზოგადი პრინციპები

1. ევროპული სკოლის თითოეული მოსწავლე თანაბრად უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ევროპულის სკოლის წესდებით და სხვა მარეგულირებელი აქტებით მინიჭებული უფლებებით.
2. მოსწავლე სრულად და მკაცრად იცავს ევროპული სკოლის შიდა რეგულაციებს, საგამოცდო წესებს და დებულებებს, მოსწავლეთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და პრინციპებს.
3. მოსწავლისთვის ცნობილია, რომ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში ევროპულ სკოლას უფლება აქვს განიხილოს დისციპლინური ზომის გამოყენების საკითხი და იღებს ვალდებულებას დაემორჩილოს მიღებულ გადაწყვეტილებას.
4. მოსწავლე თავისუფალი და დამოუკიდებელი ინდივიდია, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს საკუთარი ქცევა და შეაფასოს შედეგები.

მუხლი 2. მოსწავლის ვალდებულებები

1. მოსწავლე პატივს სცემს საკუთარ და სხვების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, პირადი საკუთრებისს და სხვა ქონებრივ თუ არაქონებრივ უფლებებს და თავისუფლებებს.
2. დაუშვებელია დისკრიმინაცია და არატოლერანტული დამოკიდებულება რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, ფიზიკური კონდიციის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული, ეთიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმომავლობის, ოჯახის, ქონებრივი მდგომარეობის და სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების სტილის, დაბადების ადგილის, ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო.
3. მოსწავლე პატივს სცემს სკოლის სახელწოდებას, ღირსებას და რეპუტაციას და ზრუნავს სკოლის ქონებაზე.

4. მოსწავლე პატივს სცემს სხვა მოსწავლეების უფლებას მიიღონ განათლება და ისარგებლონ შეუფერხებელი სასწავლო პროცესით.
5. მოსწავლე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ეთიკის კოდექსი და დაემორჩილოს სკოლის დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებას.

მუხლი 3. ეთიკის ზოგადი წესები

1. მოსწავლის ქცევა შეუფერებლად და არაეთიკურად ითვლება შემდეგ შემთხვევებში:

ა) სწავლის პროცესის ხელშეშლა (სიზარმაცე, ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა და სხვ.)

ბ) სკოლაში ალკოჰოლური სასმელების მოტანა, მიღება ან/და სხვებისთვის გადაცემა;

გ) სკოლაში თამბაქოს, ნარკოტიკული და სხვა ტოქსიკური ნივთიერებების მოტანა, მიღება ან და სხვებისთვის გადაცემა; სკოლაში ფსიქოტროპული ნივთიერებების მოტანა ექიმის დანიშნულების გარეშე;

დ) სკოლაში სათამაშო კომპონენტების და უხამსობის შემცველი საგნების მოტანა, მიწოდება ან/და გამოყენება;

ე) შენობის დაზიანება / გაფუჭება;

ვ) სკოლის ინვენტარით სარგებლობის წესების დარღვევა (მერხებზე და სხვა საგნებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიის მოწყობილობების, სასწავლო ინფრასტრუქტურის და ინვენტარის დაზიანება ან/და არასწორად გამოყენება, მცენარეების დაზიანება და სხვ.);

ზ) უხამსი, უწესო საქციელი, სიმთვრალე ევროპული სკოლის ტერიტორიაზე და სხვ.;

თ) მოსწავლის უპატივცემულო დამოკიდებულება სკოლის სახელწოდების, პრესტიჟის, სიმბოლოების და რეპუტაციის მიმართ. მცდარი და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება სკოლის აქტივობების ან სკოლის თანამშრომლების შესახებ, მედია რესურსების, სოციალური ქსელების, ელექტრონული ფოსტის ან/და სკოლის მონაცემთა ბაზის გამოყენებით, პირდაპირი ან/და ირიბი ფორმით, ჩაითვლება სკოლის პრესტიჟის და რეპუტაციის შელახვად;

ი) ცეხლსასროლი იარაღის და ცივი იარაღის სკოლაში მიტანა, გამოყენება ან/და სხვებისთვის გადაცემა, ასევე ასაფეთქებელი და აალებადი მასალების მიტანა ან/და სხვებისთვის გადაცემა, რომელიც ქმნის ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს;

კ) სხვა მოსწავლეების, სკოლის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ან/და სკოლასთან დაკავშირებული მესამე პირების მუქარა, ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფა;

ლ) სიძულვილის ენა, დისკრიმინაცია, ძალადობის ან/და ცილისწამების მოწოდება სხვა მოსწავლის, სკოლის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ან/და სკოლასთან დაკავშირებული მესამე პირების მიმართ;

მ) თავდასხმა, დაზიანება, განადგურება, საკუთრების უფლებების შეზღუდვა, სხვისი საგნის არამართლზომიერ დაუფლება, ამგვარი ქმედებების ჩადენის მცდელობა, მათ შორის შეცდომაში შეყვანის და მუქარის გზით;

ნ) ფარულად მოპოვებული ვიდეო / ფოტო / აუდიო მასალის ჩაწერა / გავრცელება წინასწარ შეთანხმების და ინფორმირების გარეშე;

ო) სკოლის აკადემიური / ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის ლეგიტიმური მოთხოვნის შეუსრულებლობა;

პ) ევროპული სკოლის სამართლებრივი აქტების/რეგულაციების და კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა / უგულვებელყოფა.

მუხლი 4. ეთიკის წესები სასწავლო პროცესში

1. შემდეგი შემთხვევები ჩაითვლება აკადემიურ დარღვევად ან არაეთიკურ ქცევად:

ა) სხვისი ნაშრომის გაყალბება და საკუთარ ნაშრომად გასაღება ან/და წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალიდან და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებიდან უნებართვო გადაწერა (მათ შორის მობილური ტელეფონიდან, ტაბლეტიდან ან/და სხვა ელექტრონული მოწყობილობიდან);

ბ) პლაგიატი (სხვისი ნაშრომის ნაწილობრივ ან სრულად კოპირება);

გ) აკადემიური კუთხით გაყალბებაში შემჩნევა;

დ) ინდივიდუალური დავალების ჯგუფური მომზადება, ან ერთი პირის მიერ მომზადებული მასალის წარმოდგენა როგორც ჯგუფის მიერ მომზადებულის;

ე) კონფიდენციალურ საგამოცდო მასალაზე ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, წარმოდგენილი წერილობითი ნაშრომის ჩანაცვლება ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;

ვ) ქულების მიღების მიზნით მასწავლებელზე ან სკოლის თანამშრომელზე ზეწოლა;

ზ) სასწავლო პროცესისთვის ხელის შეშლა შესაბამისი რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; ასევე, სხვა მოსწავლის ნაშრომის მოპარვა, განადგურება ან ჩანაცვლება.

მუხლი 5. ეთიკის კოდექსის დარღვევაზე დაწესებული სანქციები

ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევებს განიხილავს ევროპული სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი დისციპლინური კომიტეტი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. ევროპული სკოლა უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს ამ კოდექსში, რითაც არ უნდა დაირღვეს მოსწავლეების უფლებები და თავისუფლებები, ან შეიცვალოს მხარეებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობები.

2. ევროპული სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ცვლილებების შესახებ ინფორმაცია ან/და განათავსოს ევროპული სკოლის ვებგვერდზე.

3. ამ ქცევის კოდექსის (მუხლის, თავის ან ქვეთავის) რომელიმე დებულების გაუქმება/ბათილობა არ იწვევს კოდექსის სხვა დებულებების გაუქმებას/ბათილობას.

European School LTD
შპს ევროპული სკოლა

Code of Ethics for Students

Review Frequency: Annual
Prepared by: Legal Division
Policy written in: September 2018
Last review date: November 2021
Last reviewed by: Legal Division

Sophio Bazadze
Director

GEORGIA "EUROPEAN SCHOOL" Ltd 205172917

Preamble

LTD "European School" (hereinafter referred to as the "European School" or "School") provides an exceptional education in a nurturing and academically challenging environment, inspiring each student to achieve their personal best and become an influential and socially responsible global citizen.

The purpose of the Code of Ethics for Students is to establish principles and standards that are essential in maintaining an excellent learning environment at the "European School." Learning at the "European School" rests upon respect for individual rights, freedom of expression, dignity and security. The Code of Ethics for Students serves as a guide of behavior for students at the "European School" to ensure that rights of students and the other members of the "European School" community are upheld properly, the "European School" property and common resources are secured while an excellent learning environment is created and maintained.

Article 1. General Principles of the Code of Ethics

1. Every student of the "European School" is equally entitled to rights granted by the Legislation of Georgia, Statue of the "European School" and other regulatory acts.
2. A student fully complies with the Statute of the "European School," exam rules, and provisions, values and principles enshrined within the Code of Ethics for Students and strictly adheres to them.
3. In case of breach of the Code of Ethics, a student acknowledges the right of the "European School" to determine an imposition of a disciplinary action and takes responsibility to follow the decision that is made in this regard.
4. A student is a free and independent individual capable of determining one's own behavior and assessing the consequences.

Article 2. Students' Obligations

1. A student has respect for one's own and other person's life, health, dignity, as well as their personal and other property or non-property rights and freedoms.
2. No one shall be subject to discrimination or intolerance on grounds such as race, skin color, language, gender, sexual orientation, gender identity, age, religion, faith, worldview, political or any other point of view, political union membership, physical handicap, citizenship, national, cultural, ethnic or social affiliation, origin, family, wealth and rank, place of residence, state of health, lifestyle, place of birth, or any other grounds.
3. A student has respect for a school name, honor and reputation, and in addition, takes care of the school property.
4. A student has respect for other students' right to education and inviolability of the learning process.
5. A student is obliged to strictly adhere to the rules enshrined in this Code of Ethics and abide by the decision made by the Disciplinary Committee of school.

Article 3. General Rules of Ethics

1. A student's behavior deemed inappropriate and unethical:

a. Hindering the learning process (tardiness, noise, use of a cell phone, etc.)

b. Bringing, supplying, or/and using alcoholic beverages;

c. Bringing, supplying or/and using tobacco products, narcotic and other toxic substances; bringing psychotropic substances without a relevant prescription from a doctor;

d. Bringing, supplying or/and using gambling products as well as items containing obscenity;

e. Littering; damaging and distorting the building;

f. Violation of the rules of use of school inventory (making inscriptions on desks and the other inventory, damage and/or misuse of computers, lab equipment, learning infrastructure and inventory, damage to plants, etc.);

g. Profanity, obscenity, being drunk on the European School premises, etc.

h. Student's dishonest attitude towards a school name, prestige, symbols and reputation. Dissemination of false and unverified information about school activities or school employees through using media resources, social networks, as well as electronic mail or/and school database in an indirect or/and direct manner shall be deemed as slander against the school's prestige and reputation;

i. Using, bringing and/or supplying firearms and cold weapons as well as bringing and/or supplying explosive and flammable items which pose a real threat of fire or/and explosion;

j. Harassment, threats, physical and/or verbal abuse against other students, school academic, administrative, support staff and/or invited third parties, etc.;

k. Hate speech, discrimination, calls for violence and/or slander against another student, members of the school academic, administrative, support staff and/or school related third parties;

l. Assault, damage, destruction, restriction of any kind of property rights, solicitation or illegal extortion of an someone else item, attempts of committing such acts, including through deception or threats;

m. Recording/disseminating secretly obtained video/photo/audio material without preliminary agreement and notification;

n. Resisting legitimate demands of any person engaged in the academic/administrative/support staff activities of the school;

o. Violation/negligence of the regulations and rules of the "European School" and other legislative requirements.

Article 4. Rules of Ethics Regarding Learning Process

1. The following shall be deemed as an academic misconduct or unethical behavior:

a. Academic falsification of another person's work and claiming it as one's own or using/copying from pre-prepared support materials and various technical means that are not permitted (including cell phones, tablet computers and/or any electronic device);

b. Plagiarism (copying another person's work partially or entirely);

c. Being complicit in an academic falsification;

d. Preparing an individual assignment in a group or presenting an assignment prepared by an individual as a group work;

e. Obtaining and distributing information on confidential exam material as well as replacing submitted written work or using other kind of confidential information;

f. Pressuring a teacher or a school employee for the purposes of obtaining grades;

g. Disturbing another student's learning process by hiding, stealing or destroying relevant resources; also, stealing, destroying or replacing another student's work.

Article 5. Penalties for Breaching the Code of Ethics

Breaches of the this Code of Ethics will be discussed by the Disciplinary Committee created on the grounds of the order of the Director of the "European School."

Article 6. Concluding Provisions

1. The "European School" is entitled to introduce amendments to this Code that shall not cause any kind of violation of students' rights and freedoms and shall not change existing legal relations between the parties.

2. The "European School" is obliged to put the information regarding amendments on display immediately or/and publish them on the "European School" website.

3. Abolition or invalidation of any provision of this Code of Ethics (article, section or subsection) does not result in abolition or invalidation of another articles of the Code.